შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.683)

23-30 მაისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროში ევროსტანდარტების ნაგავსაყრელი გაიხსნა

დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა დასრულდა. ჩატარებული სამუშაოები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაფუძნებულმა „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა, გიორგი შუხოშვილმა, კახეთის რეგიონის გუბერნატორტან ირაკლი შიოლაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ნაგავსაყრელი, რომელიც 60986.19 მ² ფართობს მოიცავს 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ყოველდღიურად პოლიგონის ტერიტორიაზე 80 მ³ ნარჩენი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან შედის.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ დედოფლისწყაროს პოლიგონი 2013 წლიდან გადაეცა. იმ დროისთვის პოლიგონი სტანდარტების შეუსაბამოდ ოპერირებდა. ნარჩენების შეტანა ხდებოდა არაორგანიზებულად. ასევე, ნაგავსაყრელზე არ ხორციელდებოდა კონტროლი და სანიტარული ზედამხედველობა, ტერიტორია არ იყო შემოღობილი და ხდებოდა როგორც მოქალაქეების, ისე ცხოველების გადაადგილება. ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებდა ეკოლოგიურ და სანიტარულ ნორმებს. პოლიგონის ოპერირება ზიანს აყენებდა გარემოს და საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“, მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის მიზნით, ტერიტორია შემოღობა, მოაწყო პოლიგონის შიდა გზები, წყალარინების არხები. ასევე, მოხდა ტერიტორიის ელექტროფიცირება. მოეწყო მიწის კავალიერები შემდგომი ექსპლუატაციისთვის. ნაგავსაყრელი აღიჭურვა სპეცტექნიკით.

განახლებული პოლიგონის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, განისაზღვრება ნარჩენების მიღება და მათი განთავსება პოლიგონზე გამოყოფილ სპეციალურ უჯრედებში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 230 000 ლარი დაიხარჯა.

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, 2012 წელს, როდესაც ის დედოფლისწყაროს გამგებლად აირჩიეს, პირველ რიგში ამ ნაგავსაყრელს ეწვია და იქ არსებული მძიმე ვითარების გამოსწორება ადგილობრივი ძალებით სცადა, მოგვიანებით კი მისივე გამგებლობის პერიოდში ნაგავსაყრელი მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას გადაეცა და სამოქმედო გეგმა დაისახა.

„ჩვენს ხელისუფლებას ნაგავსაყრელებზე კატასტროფული ვითარება დახვდა, არა მხოლოდ დედოფლისწყაროში, არამედ მთელს რეგიონში. ნაგვის მანქანებიც ვერ ახერხებდნენ ადგილზე შემოსვლას, იმდენად იყო ნარჩენები გარშემო მიმოფანტული. მართლაც მძიმე მდგომარეობა იყო და უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ნაგავსაყრელები არ გვქონდა. მანდლობა მინდა გადავუხადო ინფრასტრუქტურის სამინისტროს იმისათვის, რომ ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ ნაგავსაყრელების თანამედროვე სტანდარტებით მოწესრიგება დაისახა. საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელი მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა. იგივე პროცესია კახეთის კიდევ 5 მუნიციპალიტეტში, დანარჩენი ორი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელები იხურება და მთავარი ისაა, რომ ეს პროგრამა გრძელდება. ასე რომ, რეგიონში მივიღებთ თანამედროვე ტიპის ნაგვის გადამამუშავებელ საწარმოს, რომელიც ევრო სტანდარტებით აღჭურვილი იქნება და პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება,“ – აღნიშნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

„მთლიანად შეღობილია პერიმეტრი და სარეაბილიტაციო სამუშაოები მას შემდეგ დავიწყეთ, რაც ეს ნაგავსაყრელი ჩვენი კომპანიის მართვაში გადმოვიდა. კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე დასრულებულია და დღეს ადგილზე მოვინახულეთ. ნარჩენები საიზოლაციო ზოლით გადაიფარა, დროებითი გზები და სამეურნეო ზონა მოეწყო. ნარჩენების მიღება-განთავსება მსოფლიოში დანერგილი ახალი სტანდარტების მიხედვით იწარმოებს. მოსახლეობა კმაყოფილებას გამოხატავს,“ – განაცხადა მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი შუხოშვილმა.

დედოფლისწყაროსთვის მყარი ნარჩენების მართვის საკითხის დარეგულირება პრინციპულად მნიშვნელოვანია, რადგან ის გაუდაბნოებისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილი მუნიციპალიტეტია, ამდენად გარემოზე ზიანის შემცირება კლიმატის ცვლილებაზე დადებითად აისახება.

ილია მარტყოფლიშვილი

კახური მატყლი და ინდოელი ინვესტორები

გვ.2

ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან

გვ.3

შირაქში ნერგებმა გაიხარეს

გვ.5

„ძიუდოს პაპა“ კვლავ გაიხსენეს

გვ.2

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი — ევროკავშირის ლიდერებისგან მივიღეთ პოლიტიკური მესიჯი, რომ პირველი იყო მოლდოვა, შემდეგ იქნება საქართველო

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებისგან მიიღო პოლიტიკური მესიჯი, რომ "პირველი იყო მოლდოვა, შემდეგ იქნება საქართველო".

როგორც მთავრობის ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ რიგის სამიტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო და არსებობს საფუძველი, რომ საქართველოს მოქალაქეებს მომავალ წელს ევროპაში უვიზო მიმოსვლა შეეძლოთ.

"ჩვენს შემთხვევაში, როგორც პირად საუბრებში, ისე - საჯაროდ, ცალსახად დადასტურდა, რომ საქართველომ მიაღწია ძალიან მნიშვნელოვან პროგრესს. გერმანიის კანცლერი, საფრანგეთის პრეზიდენტი, ორმხრივ შეხვედრებზე ამას ერთხმად აღნიშნავენ. პროცესი, ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ბევრად ადრე, წინა ხელისუფლების დროს უნდა დაწყებულიყო. მოლდოვამ ეს დაიწყო 2010 წელს და დღეს მათ უკვე აქვთ უვიზო მიმოსვლა. ჩვენმა ხელისუფლებამ დიდი ნახტომი გააკეთა. რა თქმა უნდა, ევროპაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება იდეალური არ იყოს დეკლარაცია ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ უკრაინა-რუსეთის დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინება გახდა აუცილებელი", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ ტექნიკური პროცედურების დასრულება წლის ბოლომდე გახდება შესაძლებელი.

"პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, რომ შემდეგი არის საქართველო. პრაქტიკულად ეს უკვე დაადასტურეს ევროპელმა ლიდერებმა. ჩვენ გვაქვს საფუძველი, რომ მომავალ წელს ჩვენს მოქალაქეებს შეეძლოთ უვიზო მიმოსვლა ევროპაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტექნიკური პროცედურები დროზე ადრე დავასრულოთ", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საპენსიო მოდელზე მუშაობა დასრულდა

მთავრობამ საპენსიო რეფორმის მოდელზე მუშაობა დაასრულა. მოდელს უახლოეს პერიოდში ეკონომიკური საბჭო განიხილავს.

საპენსიო სისტემის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია გასულ წელს შეიქმნა. საპენსიო რეფორმა ნებაყოფლობით დაგროვების საპენსიო სისტემაზე გადასვლას გულისხმობს. როგორც ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განმარტავს, საპენსიო რეფორმის მოდელს უახლოეს პერიოდში ეკონომიკური საბჭო განიხილავს, რომლის შემდეგაც დოკუმენტი დასამტკიცებლად მთავრობას წარედგინება.

"საპენსიო რეფორმის მოდელი არის მზად. შემუშავდა ჩვენს სამინისტროში მსოფლიო ბანკის ძალიან აქტიური მონაწილეობით, მსოფლიო ბანკის სათაო ოფისიდან იყო ჩართული არა ერთი წამყვანი ექსპერტი ამ სფეროსი. მოდელი მზად არის. უკვე გავლილია უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფში და უახლოეს პერიოდში ეკონომიკური საბჭო განიხილავს ჯერ და შემდეგ გავა მთავრობის სხდომაზე, რათა მიღებული იქნას სამოქმედო გეგმა უკვე საპენსიო რეფორმებთან დაკავშირებით"-აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ნოდარ ხადური - ბიუჯეტის გადახედვაზე მუშაობა დაწყებული გვაქვს

ჩვენ დაწყებული გვაქვს მუშაობა ბიუჯეტის გადახედვაზე, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა.

მისივე თქმით, ადმინისტრაციული ხარჯები უკვე შემცირებულია და ამავე დროს დროს ბიუჯეტს არ ჰქონია და არ ექნება დაწოლა ლარის გაცვლით კურსზე.

„სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა გვექნება, ის ვერ იქნება 5%. სამწუხაროდ, იქნება გაცილებით დაბალი, მაგრამ ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ჩვენ დაწყებული გვაქვს მუშაობა ბიუჯეტის გადახედვაზე. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ეს არ შეეხება, რაც მთავარია, სოციალურ პროექტებს. ასევე ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რათა ბიუჯეტი იყოს ფინანსური სტაბილურობის გარანტი და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი", - განაცხადა ხადურმა.

რაც შეეხება ექსპერტების იმ განცხადებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლარის კურსის სწრაფი ცვლილება ხელოვნურად არის გამოწვეული, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საბანკო სექტორზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

„თქვენ იცით, რომ საბანკო სექტორზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამისად, მათ უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნიათ. მე არ მინდა დავუშვა და ვიფიქრო, რომ საქართველოში ადგილი აქვს ისეთივე მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში", - განაცხადა ნოდარ ხადურმა.

თინა ხიდაშელი - პრინციპულად მნიშვნელოვანია, დეკლარაციაში აისახოს კონკრეტული ვადა, როდის მიიღებს საქართველო ვიზალიბერალიზაციას

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ რიგის სამიტის დეკლარაციაში აისახოს კონკრეტული ვადა, როდის მიიღებს საქართველო ვიზალიბერალიზაციას, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, ეს აუცილებელია, რათა აღნიშნულთან მიმართებაში მოლოდინი არ იყოს უსასრულო.

"საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რიგაში დღეს დილიდან მართავს შეხვედრებს. ვფიქრობ, საბოლოო პასუხები ჩვენ სწორედ ამ შეხვედრების დასრულების შემდეგ გვექნება. მოლოდინი არც ერთი წამით არ შეცვლილა, შესაბამისად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ 2015 წელი საქართველოსთვის იქნება ევროპასთან უვიზო მიმოსვლის წელი. ეს მოხდება 21-22 მაისს, თუ პირობითად 27-28 ოქტომბერს სხვა რომელიმე ქალაქში, არა მგონია იყოს პრინციპულად მნიშვნელოვანი. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაციაში აისახოს კონკრეტული ვადა იმისთვის, რომ მოლოდინი არ იყოს უსასრულო და დაუმთავრებელი", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ამასთან, თავდაცვის მინისტრი სამწუხაროს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, თუნდაც უკრაინისთვის ვიზა ლიბერალიზაციის მინიჭების გადავადების აუცილებლობას, ყირიმის ანექსიის ფაქტორს უკავშირებს.

"სამწუხაროდ, ქვეყნების ნაწილს იმასთან დაკავშირებით აქვს პრობლემა, რომ ყირიმი ანექსირებულია. ძალიან დიდი იმედი მაქვს, ეს არ იქნება გაზიარებული ევროკავშირის მხრიდან და დეკლარაცია იქნება ადეკვატური იმ პორბლემების, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს აქვთ. აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე საუბარიც არ არის, თუკი ვინმეს დღეს ყირიმის ანექსიასთან მიმართებაში აქვს პრობლემა", - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

კახური მატყლი და ინდოელი ინვესტორები

"საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციამ" მატყლით დაინტერესებულ ინდოელ ბიზნესმენებს უმასპინძლა. ასოციაციის ინფორმაციით, შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა დონეზე. მათ შორის სტუმრები მარნეულში მატყლის შემგროვებელ პუნქტს და ალვანში როგორც მატყლის შემგროვებელ, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს ეწვივნენ. ხელსაქმის ნიმუშებს გაეცნენ და სამომავლოდ თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს.

„ძიუდოს პაპა" კვლავ გაიხსენეს

დედოფლისწყაროში ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ძიუდოს მეორე რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა. ძიუდოს სახელგანთქმული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი სოფელ ზემო მაჩხაანში დაიბადა, ამიტომ

მისი სახელობის ტურნირებს დედოფლისწყარო მასპინძლობს. სხვადასხვა წლებში ბიძინა მაზიაშვილი საქართველოს და სსრკ ძიუდოისტთა ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

როგორც ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა გაზეთ „შირაქს" განუცხადა, მაზიაშვილის სახელობის ტურნირი მისი დაარსებულია, მიზანი კი ძიუდოს განვითარებაში ბიძინა მაზიაშვილის მიერ შეტანილი წვლილის დაფასებაა.

ამჯერად, ჩემპიონატში 2002-03 წელს დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრი, რომელშიც ჭაბუკ ძიუდოისტთა ათი ნაკრები მონაწილეობდა, ძიუდოს საერთაშორისო წესებით ხუთ წონით კატეგორიაში ჩატარდა. ძიუდოს ფედერაციასთან ერთად, რესპუბლიკური ტურნირის ჩატარებას მხარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობაც უჭერდნენ.

ბიძინა მაზიაშვილის სახელობის სპორტულ ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა ქედების ზონის ნაკრები გუნდიდან ნიკა ბედოიძემ (+45კგ); გიორგი ჟამიაშვილმა (45 კგ); გუგა წიკლაურმა(40 კგ); ირაკლი ლალიაშვილმა (35 კგ); ნიკა ხუზაურაშვილმა (30 კგ); (მწვრთნელი-კახა წიკლაური). მეორე ადგილი წილად ხვდათ თელაველ ძიუდოისტებს, ქარელის ჭაბუკთა ნაკრები კი მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

კახა წიკლაური (მწვრთნელი): „ეს იყო გუნდური პირველობა, ჩვენგან ხუთი წარმომადგენელი გავიდა და გუნდურში ჩემპიონები გავხდით, პირველი ადგილი ავიღეთ და ვასახელეთ ჩვენი რაიონი. ძალიან კმაყოფილი ვარ, კადეტებში ძლიერები გვყავს რამოდენიმე ბიჭი, გვყავს საქართველოს ნაკრებში და დიდი იმედი და შანსი გვაქვს, რომ თბილისის ოლიმპიადაზე გვყავდეს ჩვენი მონაწილეები, ორი თუ არა, ერთი მაინც. თუ ღვთის წყალობა და სპორტსმენების მონდომება იქნება."

„ტურნირი უკვე მეექვსედ ჩატარდა, თუმცა გუნდური შეჯიბრება მეორედ ჩატარდა, რადგან მიმაჩნია, რომ გუნდი-გუნდზე უფრო საინტერესოა. მოწმე გავხდით, რომ დღესაც საინტერესო შეხვედრა შედგა. ძალიან კარგი ტაქტიკა აჩვენეს, მცირე ასაკია, მაგრამ ნამდვილად ბევრ გამოცდილ სპორტსმენს შეშურდებოდა, იმდენად კარგი ტექნიკა გამოავლინეს. მაზიაშვილი საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი იყო, მას „ძიუდოს პაპას" ეძახდნენ. ამასთან, ორივე მაჩხაანელები ვართ. რადგანაც ბიძინა მაზიაშვილი ჩემი მასწავლებელი იყო, ჩემს თავზე ავიღე ამ ტურნირის დაარსება, სათავეში ჩავუდექი და მის დაბადების დღეზე ყოველწლიურად იმართება. სანამ მე ცოცხალი ვარ, ვეცდები, ამ ტრადიციას არ ვუღალატო. თავდაპირველად, ტურნირს ზემო მაჩხაანში ვატარებდით ხოლმე, მაგრამ იმის გამო, რომ იქ დარბაზი არ არის, დედოფლისწყაროში კი

შესანიშნავი სტანდარტების სპორტული ცენტრია, გადავწყვიტეთ, რაიონულ ცენტრში გაიმართოს," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" ანზორ მარტყოფლიშვილმა.

სამეულში შესულ გუნდებს ტურნირის ორგანიზატორებისგან ფულადი პრემია გადაეცათ. გამარჯვებულებს სამახსოვრო დიპლომები და მედლები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზვიად ჯავახიშვილმა და გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გადასცეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად ას ლარს მიიღებენ

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი გამოკვეთილი პრიორიტეტი მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვაა. თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა დიალიზის მეთოდით ხდება, მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო სრულად ანაზღაურებს.

იმის გამო, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დიალიზის ცენტრი, ჯერჯერობით, არ გააჩნია, პაციენტებს გურჯაანისა და თბილისის კლინიკებში უწევთ მკურნალობა, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაითვალისწინა აღნიშნული დაავადების მკურნალობის სირთულე და 2015 წლის მაისიდან ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეებს ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დახმარების სახით ასი ლარი გამოუყო. . დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალურ ბიუჯეტში შესატანი შესაბამისი ცვლილების პროექტს საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ზვიად ჯავახიშვილის განცხადებით, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის სტრატეგია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ეფექტურია. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა კი მომსახურეობის ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის.

„კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ, რომ ჩვენს მოსახლეობას ღირსეული სამედიცინო მომსახურეობა ჰქონდეს. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეულ შეღავათებს ახლა უკვე ჰემოდიალიზზე მყოფი ადამიანებიც მიიღებენ. ეს მათ ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვაში დაეხმარებათ. საკრებულო, ისევე, როგორც გამგეობა, სოციალური პაკეტის სრულყოფისათვის ძალისხმევას არ იშურებს და ვფიქრობ, ახლო მომავალში ეს პაკეტი უფრო მოქნილი და ეფექტური გახდება“-განმარტა ჯავახიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა დიალიზის მეთოდით ხდება, მკურნალობის ხარჯებს კი სახელმწიფო სრულად ანაზღაურებს.

უკრაინის ელჩი კახეთში

კახეთის გუბერნატორი საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვასილი ციბენკოს და ელჩის მდივანს ოლენა კურილოს შეხვდა. ირაკლი შიოლაშვილმა ელჩს კახეთის რეგიონში არსებული ვითარება გააცნო და უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და უკრაინას შორის ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცებაზე, ქვეყნებს შორის, როგორც პოლიტიკური ასევე კულტურული, სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. ირაკლი შიოლაშვილმა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა და აღნიშნა, რომ ურთიერთთანამშრომლობის განსამტკიცებლად რეგიონების კახეთისა და ივანო-ფრანკოვსკის დამეგობრება იგეგმება.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა თელავში

22 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას, კომიტეტის წევრებთან ერთად, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და ფერმერები ესწრებოდნენ.

-“რაიონის ხელმძღვანელობასა და გუბერნატორის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა ის პრობლემური საკითხები დააყენოს, რაც უშუალოდ საპარლამენტო მუშაობის პროგრამატივაა. რაც ყველაზე მთავარია, მოწვეული გვყავს ფერმერები, რომელთაც საშუალება ექნებათ დასვან ის კითხვები და პრობლემები, რაც რეგიონში რეალურად არსებობს, რათა საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს პრობლემის აღმოსაფხვრელად.”- აღნიშნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

პარლამენტის წევრებმა გამგებლებისგან და ფერმერებისგან რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია მოისმინეს და მათი გადაჭრის და დარგის განვითარების გეგმებზე იმსჯელეს. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება.

ევროკავშირი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირების ხელშეწყობას გეგმავს

ევროკავშირი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში 2 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტირების ხელშეწყობას აპირებს. ამის შესახებ ევროკომისიის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ბიზნეს-ფორუმზე დღეს რიგაში ევროკომისიამ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობის საკითხი წარადგინა. როგორც ცნობილია, ევროკავშირის ბიუჯეტიდან დახმარების სახით 200 მილიონი ევროს გრანტები გამოიყოფა მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ეს დახმარება საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის 2-მილიარდიან ინვესტირების ხელშეწყობასაც გულისხმობს. აღნიშნული თანხა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან და ევროპის საინვესტიციო ბანკიდან გამოიყოფა.

“ევროკომისიამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის პირობა დადო, რათა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის სავაჭრო კავშირები განვითარდეს. ასოცირების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება არის კარგი ინსტრუმენტი, რათა საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ეკონომიკა ევროკავშირთან და ჩვენს შიდა ბაზართან დაახლოვდეს. ორი მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია ამ ქვეყნების ეკონომიკას უფრო მეტად კონკურენტუნარიანს გახდის და ხელს შეუწყობს ადგილობრივ კომპანიებში ინვესტირებას, რაც მოსახლეობაში უფრო მეტ სამუშაო ადგილებს წარმოშობს”, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა.



გაფართოებისა და სამეზობლო საკითხების ევროკომისარმა, იოჰანეს ჰანმა კი აღნიშნა, რომ მცირე ბიზნესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკისთვის, რაც სამუშაო ადგილების შექმნისთვის მთავარი მამოძრავებელია.

- “ახალი დახმარება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ბიზნესებისთვის ხელშესახები მხარდაჭერა იქნება, რაც მათ პოტენციალს გზას გაუხსნის და დაეხმარება ასოცირების შეთანხმების შედეგად სარგებლის მიღწევასა და ახალ ბაზრებზე გასვლაში. ეს არის ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შესრულებული წვლილის კონკრეტული მაგალითი”, - განაცხადა იოჰანეს ჰანმა.

მზე, სიცილი და სკოლასთან დროებით დამშვიდობება

20 მაისი დაწყებითი კლასებისთვის სასწავლო წლის დასასრული. ცხადია, პედაგოგები ცდილობენ, ისევე როგორც სწავლის საწყისი, მისი ბოლო დღეც პომპეზური და დასამახსოვრებელი იყოს ახალბედა მოსწავლეებისთვის. სწორედ ამიტომ პირველი საჯარო სკოლის პირველი ბ კლასის ხელმძღვანელმა, პედაგოგმა მარინე ინასარიძემ თავისი აღსაზრდელები სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძრის ძირში მდებარე წიწვნარში მიიწვია. და აი, ელიის ტყის მედიდური ბუნება 36 პირველკლასელის ჟრიამულმა აავსო. სუფრა გაშლილია, გარემოს მწვადის მადისაღმძვრელი სურნელი ეფინება. ისმის პატარების ჟრიამული, რომლებსაც გული სიხარულით უცემთ პირველ პედაგოგთან ერთად ასეთი გასვლითი ღონისძიების მოწყობის გამო. დედები და მამები იქვე ფუსფუსებენ, ყველა თავს დასტრიალებს ბავშვებს, რათა ეს დღე ისეთივე ლამაზი იყოს მათი შვილებისთვის, როგორი მშვენიერიცაა ამ პატარების სულები. ეს დღე რომ მართლაც დასამახსოვრებელი იყოს ბავშვებისთვის და მშობლებისთვის, საკმაოდ საინტერესო პროგრამა აქვს დაგეგმილი მარინა მასწავლებელს, თუმცა, მანამდე გაშლილ სუფრასთან უწევთ მისვლა, რომელსაც მარინა მასწავლებელმა ასეთი წესით შემოუსხა პატარები: - „ბიჭებო, მიაცილეთ გოგონები მაგიდასთან და სთხოვეთ, დაბრძანდნენ!" -აცხადებს პედაგოგი. ბიჭებს გოგონები მიჰყავთ მაგიდასთან. გოგონები სხდებიან მაგიდის ირგვლივ და თავის მხრივ იწვევენ ბიჭებს,-ბიჭებო, მობრძანდით!- ეს ერთგვარი რიტუალია, რომელმაც აღსაზრდელებს ახლავე უნდა ასწავლოს მანდილოსნისა და ქართველი ვაჟკაცის მოვალეობები. ბავშვები მაგიდასთან სხდებიან, ლოცვას წარმოსთქვამენ. შემდეგ ბიჭები თეფშებს იღებენ და მასზე დადებულ საჭმელებს სთავაზობენ გოგონებს. თუ ვინმეს სუფრაზე ქცევის წესები ეშლება, მარინა მასწავლებელი შენიშვნებს არ იშურებს. მას უნდა, რომ იმაზე უკეთეები იყვნენ მისი შვილობილები, ვიდრე არიან!

ლამაზი დღე გრძელდება. კლასი 5 ჯგუფად იყოფა, თითოეულ ჯგუფში ექვსი ბავშვია, პატარები პედაგოგმა ხელში მიწვდილი ფერადი ქაღალდების მიხედვით დააჯგუფა, ყვითელბარათიანი ბავშვები ერთ ჯგუფად, ლურჯბარათიანები მეორედ, წითელბარათიანები მესამედ და ა.შ. შვილების ჯგუფების მიხედვით დაჯგუფდნენ დედებიც, რომლებიც პედაგოგის მოთხოვნით ისევე იყვნენ ჩართული ღონისძიებაში, როგორც მათი შვილები.

- ბავშვებო, რა არის პორტრეტი?- ისმის პედაგოგის კითხვა, რომელსაც დედიკოები გასუსულები უსმენენ, ყველას აინტერესებს, რა პასუხს გასცემენ ამ შეკითხვას მათი შვილები. პასუხი ყველას აქვს. პორტრეტი ადამიანის სახის დახატვაა, ამიტომ დავალებაც შესაბამისია, - ყველა პატარა თაბახითა და ფანქრით იკალათებს დედის წინ და დედის პორტრეტს ხატავს ისე, როგორც ხედავს, როგორც შეუძლია. სახალისოდ ჩავლილი პირველი აქტივობა, მეორემ შეცვალა. პედაგოგმა თითოეულ ჯგუფს დაუსახელა რამდენიმე სიტყვა, რომელზეც მათ სიმღერა უნდა შეედგინათ. ბავშვებმა ამ ნომერსაც წარმატებით გაართვეს თავი, უფრო მეტიც, სიმღერასთან ერთად შესაბამის მოძრაობებსაც აკეთებდნენ. აქტივობების გეგმაში შედიოდა სახალისო მათემატიკური ვარჯიშები, რომელშიც ქალბატონმა მარინამ მშობლებიც ჩართო, ფურცელზე მოცემული დავალებები ლოგიკური და სააზროვნო გახლდათ, რომელსაც დედებმაც ხალისით უპასუხეს. ღონისძიების კულმინაცია წინ გველოდა, ყველაზე საინტერესო და სასიამოვნო მაინც პოეზიის ხუთი წუთი აღმოჩნდა, რომელიც ყველა მოსწავლის მიერ საქართველოზე წარმოთქმულ ლექსს ითვალისწინებდა. სასიამოვნოდ წაიკითხეს ლექსები ანანო ბიძინაშვილმა, თათია და გვანცა ბოჭორიშვილებმა, საბა ბუთხუზმა, გურამ გოგაშვილმა, ნიკოლოზ გველუკაშვილმა, ლუკა მენთეშაშვილმა, ირაკლი საბიაშვილმა, ქეთი მეხრიშვილმა, გიორგი ღვედაშვილმა, ანა ბარნაშევსკაიამ,ლუკა კვანჭილაშვილმა, ზუკა ძნელშვილმა, ანა ჩიტიშვილმა, ნანუკა პავლიაშვილმა, ნინო ალუღიშვილმა, გიორგი და ლევან ჩიტიშვილებმა, ანანო გიგაურმა, საბა უზუნაშვილმა, ლაშა ჭუბაბრიამ, ნუგზარ პოპიაშვილმა, გიორგი ლოლაშვილმა, ერეკლე ბიკაშვილმა, გიორგი ჯამასპიშვილმა, კახი პოპიაშვილმა და სხვებმა. ბავშვების მიერ წარმოთქმული ლექსების შემდეგ ქალბატონმა მარინა ინასარიძემ დედების თითოეული გუნდიდან ერთ დედას მოსთხოვა წაეკითხა ლექსი სამშობლოზე. ეს ინოვაცია მშობლებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა მათ სიამოვნებით მიიღეს გამოწვევა და თითოეული გუნდიდან ლექსების ცვენა წამოვიდა, ისე რომ, მარინა მასწავლებელმა ეს მშვენიერი ლაშქრობა პოეზიის საღამოდ გადააქცია, რასაც პატარები დიდი სიხარულით უერთდებოდნენ, ისინი სიამაყით უსმენდნენ დედიკოებს და მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ მათ. პოეზიის სამყაროს გვირგვინი თავად პედაგოგმა დაადგა, რომელმაც ბოლო აკორდად თავისი წაკითხული ლექსი მიუძღვნა ბავშვებს და ზედ მთელი თავისი ემოცია დააყოლა - „და დღეს —სულხანის ნაქონი სისხლით, თბილისის ფართო ქუჩებში დადის: ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი და... იარონ! იარონ! იარონ! ამინ!" ... და რა უნდა ინატროს დედამ იმისთვის, რომ ასეთი ჯანსაღი პაექრობის ფონზე პატრიოტული სულისკვეთებით გამოზარდოს პედაგოგმა მისი შვილი დღევანდელობაში, სადაც პატრიოტიზმი თანდათან უკვე დეფიციტური გახდა.

ღონისძიების დასასრულს პედაგოგმა კვლავ დედებს მისცა დავალება, მათ მუყაოზე წებოთი, ფერადი ქაღალდებითა და ფანქრებით, ისეთი ლამაზი კომბინაცია უნდა შეესრულებინათ შვილებისთვის, რომელსაც მათი შვილები სიცოცხლის ბოლომდე შეინახავდნენ. აქაც აქტიური იყო მშობლების ჩართულობა. ბავშვები ვერ ფარავდნენ აღფრთოვანებას დედების მიერ ფერადი ქაღალდებით შესრულებულ ბუნების პეიზაჟებზე.... აი, ასე ლამაზად და თამაშ-თამაშ დაემშვიდობნენ სკოლას სექტემბრამდე პირველკლასელები, მაგრამ სწავლას და გონებრივ წვრთნას მთელი ზაფხული არ მოადუნებენ. მათ პედაგოგისკან საზაფხულო დავალებები ჩაინიშნეს, ხოლო შემდეგ სახტუნაოთი და სხვა თამაშებით ელიის ტყეში ბევრი ირბინეს. გვიანობამდე არღვევდა ელიის მშვენიერი ბუნების სიმყუდროვეს პატარების სიცილ-კისკისი. ღმერთმა ნუ მოუშალოთ ასეთი ლაღი დღეები ჩვენს მომავალ თაობებს. გამარჯვებით გევლოთ, ბავშვებო. ღმერთმა თქვენი სახით კარგი ვაჟკაცები და მანდილოსნები აღუზარდოს ქვეყანას. მჯერა, ასეც იქნება.

ლალი მეხრიშვილი

ამაღლების დღესასწაული სოფელ ოზაანში

„ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩვენო, და მხიარულ ჰყვენ მოწაფენი აღთქმითა მით სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მხსნელი

სოფლისა ფრთეთა ქერუბინთასა მჯდომარე ხარ, ამაღლდი ღრუბლითა ცად აღმოსავალით და მოწაფეთა შენთა ეტყოდე, მაცხოვარ: არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე სულითა თქუენ შორის და ვიყო მე განუშორებელ თქუენგან, რომელმან მოანიჭე სოფელსა დიდი წყალობა."-ეს გახლავთ სალოცავად წარმოსათქმელი სიტყვები, რომელიც ამაღლების ხატის წინაშე უნდა წარმოთქვას თითოეულმა ქრისტიანმა. წმ. იოანე ოქროპირი ამაღლების შესახებ ამბობს-„ სამი უჩვეულო სასწაული, ჟამიერების დასაბამიდან უცნობი და ჩვენს ბუნებაზე აღმატებული, თანაშეიწნა და ჰგიეს დაურღვევლად და შეურყევლად, რადგან სამკეცი თოკი ადვილად არ გაწყდება. ესენია: უქორწინებელი დედის მშობიაროება, სამდღიანი ვნებისგან აღდგომა და ხორცის ცათა მიმართ ამაღლება. უწყოდა ჟამიერებამ ბერწნი, რომლებმაც შვეს, მაგრამ - არა ქორწინებისეული კავშირის გარეშე; უწყოდა მან მკვდრები, რომლებიც გაცოცხლდნენ, მაგრამ - არა დაუსრულებელ სიცოცხლეში. უწყოდა მან წინასწარმეტყველი, რომელიც ამაღლდა, მაგრამ - თითქოსდა ცაში. სიტყვა „თითქოსდა" აღნიშნავს ჭეშმარიტებისგან განსხვავებულს, რადგან ელიამ ადგილს ადგილი შეუნაცვლა, მაცხოვარი კი იქ ავიდა, საიდანაც ჩამოვიდა და ამას შეჰყურებდა მრავალი კაცი და ქალი, ვიდრე არ მოუძლურდა სიმაღლეს შეკერტებული მზერა. ანგელოზებიც თანაემოწმებოდნენ ამ სანახაობას და მეორედ მოსვლასაც მაუწყებლობდნენ, რადგან თქმულია:„და აჰა, ორი კაცი წარმოუდგათ მათ თეთრ სამოსელში, რომლებმაც ასე უთხრეს: კაცნო გალილეველნო, რად დგახართ ცას შემყურენი? ეს იესო, ცად ამაღლებული თქვენგან, იმგვარადვე მოვა, რა სახითაც ნახეთ იგი ცისკენ მავალი."

ამაღლების დღესასწაული განსაკუთრებული ძალისხმევით აღინიშნავენ მთელს კახეთში, კერძოდ დედოფლისწყაროში, სოფელ ოზაანში, სადაც ამაღლების სახელობის ტაძარია აღმართული. ისტორიულ წყაროებში ოზაანის ამაღლების შესახებ ვკითხულობთ: XI — XII საუკუნეების ჯვარგუმბათოვანი ტაძარი სოფელ ოზაანში. ტაძარი მდებარეობს ტყით დაფარული ქვაბულის შუაგულში. დაზიანების მიუხედავად ჯერ კიდევ არის შემორჩენილი კედლის მხატვრობა. გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთ კედელზე იყო თამარ მეფის ფრესკა, თუმცა, სამწუხაროდ ფრესკამ ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია. აშენებულია - X საუკუნეში. ბოლოს განახლდა: 2015-04-16.

გრძელდება თითქმის ათასაუკუნოვანი ტრადიცია და ისევე როგორც საუკუნეების წინ, ჩვენი წინაპრები აღასრულებდნენ წირვა-ლოცვას, წლევანდელი ამაღლებაც ჩვეული წესით აღნიშნა აქაურმა მოსახლეობამ. 21 მაისს ოზაანის ამაღლების ტაძარში უთვალავ მრევლს მოეყარა თავი. აქვე იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სადაც წირვა- ლოცვა აღავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დემეტრემ. წირვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, საკრებულოს წევრები, სოფელ ოზაანის დეპუტატი ზაზა მეხრიშვილი, რწმუნებული გელა ოზაშვილი ესწრებოდნენ. ამაღლების ტაძარში წირვა-ლოცვას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მეუღლესთან მაკა მეტრეველთან ერთად დაესწრო. ქადაგებისას მეუფემ აღნიშნა, რომ უფლის წყალობა იქნება ის, რომ ამაღლების ტაძარი მოქმედი გახდეს და აქ სამონასტრო ცხოვრება აღორძინდეს. ამავე დღეს მეუფემ და ქალაქის არქიტექტორმა დაათვალიერეს და ნახეს ის ადგილი ამაღლების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილია სამონასტრო სახლის მშენებლობა.

ლალი მეხრიშვილი



შირაქში ნერგებმა გაიხარეს

მოვლა-პატრონობას შპს „საქართველოს ნერგები“ აწარმოებს

რამდენიმე წელია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის წარმომადგენლები დედოფლისწყაროში, მდგრადი დეგრადირებული ლანდფშაფტის აღდგენის მიზნით ახალ ნერგებს და ქარსაცავ ზოლებს აშენებენ.

დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროცესს მოვლა-პატრონობას შპს „საქართველოს ნერგები“ უწევს, რომლის წარმომადგენლები პერიოდულად ჩადიან დედოფლისწყაროში და მცენარეების მოვლას ახორციელებენ.

მცენარეთა მოვლა-პატრონობის მორიგი აქცია „საქართველოს ნერგების“ თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ გამართეს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბოლო ეტაპზე დედოფლისწყაროში გაშენებულ ნერგებს ამ ეტაპზე 100%-იანი გახარება აქვს.

პროექტის ფარგლებში კომპანია „საქართველოს ნერგებმა“ 2000 მ. სიგრძის 3 რიგში დარგო 8 სახეობის 2070 ნერგი. შეიცვალა მიდგომაც. თითოეული მცენარის ირგვლივ ჩაერჭო სამი ცალი ბამბუკის ჯოხი და ირგვლივ შემოეხვა მავთულხლართი, აგრეთვე ორმოც მცენარეს ფესვის ყელთან გაუკეთდა. „Tal-Ya“ - ს ფირმის დამცავი საშუალება, რომელიც ასრულებს წყლის შემკრების ფუნქციას, იცავს ნიადაგს გამოშრობისაგან და სარეველებისაგან.

მოსავლის მატების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაფარ ზოლებს, რომელთა აღდგენაც დედოფლისწყაროში აქტიურად მიმდინარეობს. ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტის განხორციელება ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის შემცირებას, სახნავ-სათესი მიწების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებებას და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას.

კომპანია „საქართველოს ნერგები“ პირველად 2011 წელს გამოჩნდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ის ერთ-ერთი დიდი და წამყვანი მეურნეობაა. კომპანიას აქვს ორი სანერგე მეურნეობა ყვარელსა და სუფსაში, სადაც ხდება ქართული და უცხოური ჯიშების გამოყვანა, ძველი და უნიკალური ჯიშების აღდგენა. ამასთანავე, 2012 წლიდან კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ქვეყნების სანერგე მეურნეობებთან. „საქართველოს ნერგები“ აქტიურად არის ჩართული ყველა პროექტში, რომელიც ხორციელდება საქართველოში, გამწვანებისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში.

წარმატებულ პროექტებს შორის უნდა აღინიშნოს ევროკავშირისა და კავკასიაში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის („WWF“) წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტი: „კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასის ქვეყნებში'' და ამ პროექტის მიხედვით კომპანიამ 150 ჰექტარზე გაანაშენიანა სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარეები.

მიმდინარე პროექტი, რომელსაც კომპანია ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება „GIZ“-ის დაკვეთით, დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენას ითვალისწინებს.

GIZ-ი გერმანიის ფედერალური მთავრობის საკუთრებაში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი 130-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, მისი მოქმედების არეალი სხვადასხვა სფეროებს მოიცავს. იგი, ძირითადად მუშაობს პარტნიორი ქვეყნების მთავრობებთან, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

“GIZ”-ი საქართველოს მხარდამჭერი 1992 წლიდან გახლავთ. საქართველოში ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე პროგრამები შემდეგ სფეროებს მოიცავს: მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, მოქმედი კანონმდებლობის დახვეწა, ბიომრავალფეროვნება და ენერგეტიკა.

ილია მარტყოფლიშვილი

როგორ დავიცვათ თავი "შოკირებული" თუ ბალზამირებული ფრინველის ხორცისაგან?

„წელს საქართველოში უცხოეთიდან ერთი ცალი კვერცხიც არ შემოსულა“

ერთ ძველ, სიკეთით სავსე კომედიას თუ ვენდობით, ყველა ფრინველი სასარგებლო არსებაა, რადგან ადამიანს "ხორცს, კვერცხს და ბუნდლას" აძლევს, მაგრამ ეს უნყინარი ხუმრობა ყოველთვის როდი მართლდება - თურმე შეიძლება ფრინველის ხორციც მავნებელი იყოს, კვერცხიც და თქვენ წარმოიდგინეთ, "ბუნდლაც"... მაგალითად: ბოლო დღეებში რუსეთის სანიტარიული სამსახური აქტიურად განიხილავს აშშ-დან ქათმის კვერცხის იმპორტის აკრძალვის საკითხს. ამის მიზეზად ფრინველის გრიპი სახელდება, რომელიც თურმე ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის ტერიტორიაზე. უფრო ადრე რუსეთში არ შეუშვეს ამერიკული ქათმის ხორცი, რადგან მისი სერთიფიკატი გამოშვების ვადაზე ადრე იყო გაცემული. ერთი სიტყვით, ამ უწყების შიშით რუსეთის ცაზე საეჭვო ფრინველიც კი ვერ გადაიფრენს, რასაც საქართველოზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში?- ამის შესახებ მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ უჩუმგეგაშვილი საუბრობს.

- რამდენად სასარგებლოა კვერცხი, რომელიც ჩვენს მაღაზიებში იყიდება და რა წილი უჭირავს ქართულ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციას?

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ ბაზარს კვერცხით ჩვენი, ადგილობრივი წარმოება ამარაგებს. ამ პროდუქტის წარმოების მოცულობა უფრო მეტია, ვიდრე მასზე მოთხოვნილება, ამის გამო 2015 წლის განმავლობაში ჩვენთან ერთი ცალი კვერცხი არ შემოსულა უცხო ქვეყნებიდან. კვერცხის წარმოება იმ დონეზე განვავითარეთ, რომ შევძელით და ფასიც დავწიეთ. კვერცხის ბაზარი არ საჭიროებს ვიღაცის დახმარებას, უბრალოდ, ჩვენ გვინდა სხვა მწარმოებლებთან თანაბარ პირობებში ვიყოთ. ფრინველის ფაბრიკები მთელ საქართველოშია მოფენილი - სარფით დაწყებული, ახმეტითა და ლაგოდეხით დამთავრებული. ძირითადი მწარმოებელი კახეთი და შიდა ქართლია, მაგრამ დასავლეთ საქართველოშიც არის ფაბრიკები, რომლებიც შედარებით მცირე ზომისაა.

- ესე იგი, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი კვერცხი ჩვენს მაღაზიებში არ არის?

- დიახ, ასეა, და თუ მოინდომებთ, შეგიძლიათ გადაამოწმოთ. ყველა მონაცემი შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე დევს: რა შემოდის ქვეყანაში, ან რა გადის, შეგიძლიათ ნახოთ. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ 2015 წლის განმავლობაში საქართველოში ერთი ცალი იმპორტირებული სასურსათო კვერცხიც არ შემოუსულა. საბედნიეროდ, ჩვენზე ლარის "გაქცევამ" და ამით გამოწვეულმა ფინანსურმა ზარალმაც ვერ იმოქმედა. აღდგომისა და ახალი წლის დღეებში, როდესაც ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა ძალიან იზრდება, იმდენად დავწიეთ ფასები, რომ ყველა იმპორტიორს კვერცხის შემოტანის სურვილი მოვუკალით. უფრო მეტიც, თავისუფლად შეგვიძლია პროდუქცია სხვა ქვეყნებშიც გავიტანოთ, თუ ვინმე მიიღებს.

- ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ იმპორტირებულ კვერცხს ქართული დამლა ჰქონდეს?

- არსებობს 2013 წლის 10 ივლისის დადგენილება, რომლითაც ყველა ფაბრიკას აქვს ვალდებულება, თავის ნაწარმს დააწეროს მწარმოებელი ქვეყნის, ბრენდის, ასევე - გამოშვებისა და მოხმარების ვადები - მოკლედ, დაწვრილებითი ინფორმაცია. გამორიცხულია, ვინმემ ეტიკეტი, ან წარწერა შეცვალოს, თუმცა, ჩვენი ქვეყნის საზღვარი ისევე დაუცველია, როგორც ადრე იყო.

- რაც შეეხება ფრინველის ხორცს - წლების განმავლობაში არსებობდა ეჭვი, რომ ჩვენთან ქიმიური ნივთიერებებით გაჟღენთილი, ბალზამირებული ფრინველის ხორცი შემოდიოდა. ახლა რა ხდება?

- ეს გაცილებით მძიმე თემაა, იმიტომ რომ, ნაკლებია ხელშეწყობა ამ დარგის მიმართ, როგორ

მელსაც მეფრინველეობა ჰქვია. ბრაზილიას, ან ამერიკას ჩვენ ვერ გავუტოლდებით ვერც სიმინდის მოსავლით და ვერც ფრინველის რაოდენობით. ამიტომ, იმპორტირებული იაფი პროდუქცია მაინც შემოდის ქართულ ბაზარზე. ძნელია ითქვას, რამდენად მავნეა უცხოეთიდან შემოტანილი ფრინველის ხორცი, მაგრამ ფაქტია, რომ მთლიანად დამოკიდებული ვართ მწარმოებლის კეთილსინდისიერებაზე. მაგალითად: ერთხანს ჩვენთან შემოდიოდა ნედლი ქათამი, რომელზეც მითითებული იყო რეალიზაციის პერიოდი - 10 დღე. ნედლ ქათამს 10 დღე შენახვის ვადა ვერანაირად ვერ ექნება. ეს არც საქართველოს კანონმდებლობის ნორმებში შედის. ამ მხრივ ძალიან ცუდ როლს თამაშობს ევროკავშირი - მათი სტანდარტები ისეთია, რომ ვერ ვეწინააღმდეგებით. მათთვის სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გამოყენება, ან ბალზამირება ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ის გზებია, რომლებიც პროდუქტის შენახვის ვადას ახანგრძლივებს. მომხმარებელს კი უნდა იცოდეს, გუშინდელია ფრინველი, რომელსაც თავისი მცირეწლოვანი შვილისთვის ყიდულობს, თუ 10 დღის წინანდელი. ეს მხოლოდ ნედლ ქათამს ეხება, რაც შეეხება გაყინულს, ამბობენ, რომ გაყინული ხორცი ჯანმრთელობას ვნებს. გაყინვის მიზნით მისი "შოკირება" ხდება. რას ნიშნავს "შოკირება"? - ეს სწრაფი გაყინვის მეთოდია. ამ დროს დაკლული ქათამი გაგრილებისთანავე შედის -20 გრადუს ტემპერატურაზე, იქ ნახევარ საათს აჩერებენ და მერე უკვე -40 გრადუს ტემპერატურაზე გადაჰყავთ. ამ დროს ფრინველის ხორცის მყისიერი, შოკისებური გაყინვა მიმდინარეობს, რაც ხელს უშლის სასარგებლო ნივთიერებების გარეთ გამოსვლას. ვინაიდან ხორცი ძალიან დაბალ ტემპერატურაზე იყინება, ყველანაირი ბაქტერიაც მასთან ერთად იყინება, რის გამოც მისი შენახვის ვადა ერთი წელია.

- რას ურჩევდით იმ ხალხს, ვისაც არ სურს "შოკირებული", ან ბალზამირებული ფრინველის ხორცი მიიღოს?

- ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს ბევრი კეთილსინდისიერი მეწარმე, რომელსაც ევროპული დონის საწარმოები აქვს. ამ საწარმოებში დილის 6 საათზე რომ დაიწყებენ ფრინველების დაკვლას, 10-12 საათზე უკვე დახლებზე გამოაქვთ. ასეთი პროდუქციის გამო ჯიხურებში სულ რიგებია. ამიტომ, ეცადეთ კარგად დაადგინოთ, ვინ არის მწარმოებელი და რა პროდუქტს ყიდულობთ. იმისათვის, რომ საქართველოში ფრინველის ხორცის წარმოება განვითარდეს, ამ დარგს სუბსიდირება და ხელშეწყობა სჭირდება. ერთი თხოვნა მაქვს და ეს მთელი მეფრინველეობის დარგის თხოვნაა: ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ დაბეგვრის გამო. ჩვენი ქვეყანა ერთადერთია რეგიონში, რომელიც მეფრინველეობას ისე ბეგრავს როგორც არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას - ვიხდით დღგ-ის, მოგების გადასახადს და ა.შ... ამ თხოვნით უკვე მივმართეთ ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას, მან ეს თემა სამთავრობო დონეზე წარადგინა და თუ მოხერხდება ისე, რომ დღგ-ს მოგვიხსნან, მდგომარეობა აშკარად გამოსწორდება. თუ ახლა ჩვენს დახლებზე ადგილობრივი წარმოების ხორცს 60-65% უკავია, დაახლოებით 1-1,5 წელიწადში მთლიანად ქართული წარმოების ხორცი იქნება და კითხვის ნიშნები ბალზამირების, თუ ხსნარების გამოყენების შესახებ აღარ იარსებებს. კანონში პირდაპირ წერია: სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი (გარდა ქათმისა და კვერცხისა) არ იბეგრებაო. თუ ეს ფრჩხილები მოიხსნება, სადღაც 100 პროცენტით დავიკავებთ ქართულ ბაზარს.

მუზეუმი–ისტორიის მცველი

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამ დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

ღონისძიება გახსნა მისმა დირექტორმა ლალი გურასპაულმა. მან ისაუბრა მუზეუმის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე. კონფერენციის შემდეგი თემა წარუდგინა სტუმრებს მეცნიერთანამშრომელმა თამარ ჯავაშვილმა, რომელმაც ელიის მთაზე აშენებული ეკლესიის ადრეული და თანამედროვე ისტორია მოუთხრო მათ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა კი ელიის შესახებ არსებული ლეგენდა გააცნო დამსწრე საზოგადოებას:

ლეგენდა ელიაზე

დიდი ხნის წინათ, თათართა ბატონობის ხანაში, სოფელი შეწუხებული ყოფილა თათრების აოხრებისაგან და მათ მიერ სოფლის მკვიდრთა ხშირი მოტაცებისაგან.

ერთხელაც, ჩვეულებისამებრ იდგნენ და ელოდნენ, რა ამბავს მოიტანდნენ მდევრები. ხალხს თავი მოეყარა გაშლილ ადგილზე და მდუმარედ გაჰყურებდა გზას.

- აი, ისინიც მოაგელვებენ ცხენებს-ატყდა ჩოჩქოლი.

- იპოვნიდნენ? მიაგნებდნენ თუ მიუსწრეს, ვაი დედასა მტრისასა!

ცხენოსნებმა ხალხის დანახვისთანავე შეანელეს სვლა და ჰოი, საკვირველებავ!- არცერთს ადამიანის ფერი არ ჰქონდა. პირზე სიტყვა გაეყინათ-ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. დევნამ ამჯერად ნაყოფი ვერ გამოიღო.

- ამოიღეთ ხმა, რას გაჩუმებულხართ? - შესძახეს ლომგულებმა. - რა იქნა მაია? სად არის ზურაბი?

-მაია ხომ წუხელ გაიტაცეს, ზურაბს დაემალნა იგი, თუმცა მდევრებმა მაინც მიაგნეს. ზურაბს მალე გაჰღვიძებია, სწრაფადაც გამოჰკიდებია, მაგრამ ისინი ორმოცზე მეტნი ყოფილან, გზაც აურევიათ ზურაბისთვის.

...ამასობაში კი მაია თათრებმა ისე დამალეს, რომ ზურაბმა ველარ იპოვა.

ის, რაც მაიას შემდგომში გადახდა, ქართველებმა მოგვიანებით შეიტყეს: დაღლილსა და დაქანცულ მაიას ძილი მოსურვებია, ძილის შემდეგ კი გასეირნება უნებებია, რაზეც თათრებს უარი არ უთქვამთ. მაია ფიქრობდა-დროს მოვიგებ, ამასობაში კი ზურაბიც მოვაო. ამიტომაც უთქვამს, თუ ქართულ საქორწინო კაბაში გამომაწყობთ, შაჰის ვაჟს ცოლად გვყვებიო. აკი, ამისთვისაც მოუტაცნიათ.

დღე დღეს მისდევდა, ზურაბი კი არსად ჩანდა. ის თათრებთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაცემულა, მაგრამ ამის შესახებ არც ქართველებს და არც თვითონ მაიას არაფერი სცოდნია.

ტყვეობას სიკვდილი უჯობდა, მაგრამ მაია გაქცევას ვერ ახერხებდა. ერთხელ ერთი მომვლელი ქალისთვის უთქვამს: მე რომ დედოფალი გავხდები, ჩემს პირველ მრჩევლად დაგაყენებ. გამიყვანე იმ გორაკზე, საიდანაც ჩემი სოფელი მოჩანს, საღამოთი კი შაჰის შვილს მიმგვარეო. გახარებია მონას და მაიასთვის წადილი აუსრულებია. გზად მიმავალ მაიას ხანჯალი დაუნახავს, ზურაბისეული ხანჯალი უცვნია, გულში ჩაუხუტებია და ამ ხანჯლით ხის ჯვარი გამოუთლია.

მოსაღამოვდა. მაიას ქერა თმა ჩაუმუქდა, კაბა ძოწისფერი გაუხდა, თვალებს ცისფერი ჩრდილი მოედო, უკანასკნელად შეხედა საყვარელ მხარეს. პირით ჯვარი დაიჭირა, თათარი რომ არავის ჰგონებოდა... დაწვა, გასწორდა, ხელები გულზე დაიკრიფა და ცრემლმორეულმა სამშობლოს ცას ახედა. მაგრად ჩაიცა გულში ხანჯალი მაიამ... ბროწეულისფერმა სისხლმა იფეთქა ქალწულის მკერდიდან.

მოვარდა მონა ქალი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მაიას სხეული გაცივდა და გაქვავდა.

მას შემდეგ ამაოდ ელიან ზურაბს, ელიან, თუ როდის დაიტირებს მისივე მახვილით განგმირულ საყვარელ სატრფოს...ელიან...

ზურაბის მომლოდინე შთამომავლობამ ქვა-ქალს ,,ელიან" შეარქვა. მოგვიანებით გამოთქმაში ,,ნ" დაიკარგა და დღეს მას ყველა ,,ელიას"ეძახის.

ზურაბი კი ისევ არსად ჩანს.

სამეცნიერო კონფერენციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, საკრებულოს წევრები და საჯარო სექტორის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ წმ. ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი მამა ონოფრე წულაძე და ეპარქიაში მოღვაწე მონაზვნები.

„მე ვიცი ამ მუზეუმის პრობლემები, ისიც მახსოვს, რა პირობებში უხდებოდათ მათ წლების განმავლობაში მუშაობა. თანამშრომელთა თავდადებამ განაპირობა ის, რომ მათ შეძლეს ამ უნიკალური ექსპონატების შენახვა და დღემდე მოტანა.

დღესაც აქვს პრობლემები მუზეუმს, მაგრამ მეტი კომუნიკაციით და გვერდში დგომით ყველა სირთულე დაიძლევა. გვიგულეთ თქვენს დიდ მეგობრად"- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას. ასეთივე სულისკვეთება იგრძნობოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზვიად ჯავახიშვილის გამოსვლაში.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ექსპონატები ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან დღევანდელ პერიოდამდე , საექსპონატო ფონდი კი თორმეტი ათას ერთეულს აჭარბებს. ნაგებობა, რომელშიც მუზეუმია განთავსებული, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აიგო და ის ჯერ მენშევიკთა გვარდიას, შემდეგ კი რაიონის ფოსტას ეკუთვნოდა. შენობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს 1975 წელს გადაეცა.

ინფორმაციისთვის, მუზეუმი (ბერძ. μουσείο[ν] - მუზათა ტაძარი) – საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია და ღიაა ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ანზორ მაძღარაშვილი: უხერხულად ვიგრძენით თავი, რადგან დამთვალიერებელს ორიგინალები არ დახვდა

შესაძლოა, სეზონი ისე გავიდეს, ორიგინალებმა დაბრუნება ვერ მოასწროს

დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის მუზეუმიდან ორიგინალები გაიტანეს. ნიკო ფიროსმანის 13 ორიგინალი წინანდალში 1 თვის განმავლობაში იქნება გამოფენილი, შემდეგ კი ნამუშევრებს ბათუმში გამოფენენ.

ფიროსმანის მუზეუმში მისულ ტურისტებს კი ცარიელი საგამოფენო დარბაზი ხვდება, რაც დამთვალიერებლის გულისწყრომას იწვევს. ამის შესახებ ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა ანზორ მაძღარაშვილმა განაცხადა.

„ორიგინალების ასეთი მოძრაობა ჩვენიდან პირველად ხდება. ფიროსმანს მაინცდამაინც არ ჭირდება მოგზაურობა, ბოლოსდაბოლოს ის ლუვრში იყო გამოფენილი. გასვლითი გამოფენებით ფიროსმანს არაფერი ემატება, უბრალოდ, ბევრი ვერ ახერხებს ჩამოსვლას, ბავშვები, უნარშეზღუდულები და მათ მიეცათ ადგილზე ხილვის საშუალება. მაგალითად, გუშინ, 60 დამთვალიერებელი მოვიდა, აინტერესებდათ ორიგინალები, მაგრამ უხერხულად ვიგრძენით თავი, რომ შორეული ქვეყნებიდან მოდიან და ნამუშევრები არ დახვდათ. რა თქმა უნდა, გული დასწყდათ, შემდეგ ვეცადეთ მემორიალი დაგვეთვალიერებინა და ნიკალას სახლი გვეჩვენებინა. ასევე რამოდენიმე ადამიანი იყო იაპონიიდან, რომელთაც რეპროდიქციები ვაჩვენეთ," - აღნიშნავს ანზორ მაძღარაშვილი.

ორიგინალების გატანის ერთ-ერთ მიზეზად სარეაბილიტაციო სამუშაოებიც სახელდება, თუმცა, საგამოფენო დარბაზის კოსმეტიკური სამუშაოები უკვე დასრულდა, თუმცა მუზეუმის მმართველი ვერ აკონკრეტებს, რითი შეავსებს ცარიელ დარბაზს.

„ჩემთვის ძალიან ძნელია როცა მუზეუმიდან ორიგინალები გაიტანეს, რადგან მე მხოლოდ მმართველი არ ვარ, თითოეული ნამუშევარი და ექსპონატი დიდი რუდუნებითაა ჩემს მიერ მოგროვებული. ორიგინალების გატანას დაემთხვა ის ფაქტი, რომ საგამოფენო დარბაზში სარემონტო სამუშაოები განხორციელდა. ბევრი ვიბრძოლე, რომ რეაბილიტაცია მომხდარიყო, დამთვალიერებლისთვის თვალშისაცემი იყო დარბაზში არსებული ვითარება. ჩემი თხოვნა სააგენტომ გაითვალისწინა და სამუშაოები 16 მაისს უკვე დასრულდა. ამჟამად დარბაზს ასუფთავებენ. ჯერ ვერ გეტყვით, ორიგინალების დაბრუნებამდე დარბაზი ცარიელი იქნება, თუ სხვა გამოსავალს მოვნახავთ. თუმცა, სააგენტოს წარმომადგენლებს უკვე ვთხოვე, რომ წინანდლიდან ფოროსმანის ნამუშევრები ბათუმში რომ წავა, გამოფენის ვადა შემცირდეს, თორემ სეზონი ისე გავა, ორიგინალები მირზაანში დაბრუნებას ვერ მოასწრებს. ვფიქრობ 10-14 დღე სრულიად საკმარისი იქნებოდა ბათუმში გამოფენისთვის და შემდეგ ისევ მირზაანში გამოვფინოთ. ქალბატონი თამარ ვაჩეიშვილი, რომელიც სააგენტოდან ამ საკითხს კურირებს, დამპირდა, რომ ეცდება ვადის შემცირების საკითხი შეათანხმოს. ვნახოთ, რა გამოვა," - ამბობს მაძღარაშვილი.

წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენას 4 მაისიდან მასპინძლობს. წარმოდგენილია ასევე, მხატვრის სხვადასხვა პერიოდის გამოფენის აფიშები და პაბლო პიკასოს „ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი". გამოფენა 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. ამ სახით რეტროსპექტივა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პროგრამის „მუზეუმების კოლექციიდან" ფარგლებში მოგზაურობს — კოლექცია თბილისის ხელოვნების სასახლეში, შემდეგ ქუთაისში იყო წარმოდგენილი. ნიკო ფიროსმანის მირზაანის კოლექციის გამოფენა პირველად ეწყობა წინანდალში. შემდეგ ნამუშევრები ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში განთავსდება.

წინანდლის ისტორიული კომპლექსი აერთიანებს სახლ-მუზეუმს, ულამაზეს ბაღს და ენოთეკას. კომპლექსი ღიაა ყოველდღე 10—დან 18 საათამდე; ბილეთის ფასი 5 ლარია (სტუდენტებისთვის — 4 ლარი; მოსწავლეებისთვის - 3 ლარი) — მუზეუმში მოქმედებს სპეციალური შეთავაზებები ღვინის ტურით.

ილია მარტყოფლიშვილი

ფიტნესკლუბის ნაცვლად 40 წუთიანი სიარული წონაში დასაკლებად

მრავალი ქალბატონი ცდება, როდესაც მიაჩნია, რომ საოჯახო საქმიანობა - რეცხვა, ხეხვა, ბავშვის მოვლა, ღამის უძილობა - დიდ ფიზიკურ დანახარჯს იწვევს. სამწუხაროდ, ეს საოჯახო ფაციფუცი ზედ-

მეტი კილოგრამების დაწვაში ვერ დაგეხმარებათ. თუ ვერ შეძლებთ ფიტნეს-კლუბში ვარჯიშს, გულს ნუ გაიტეხთ - ყველაზე ნაცადი და საიმედო მეთოდია ყოველდღიური 30-40- წუთიანი სიარული (100 ნაბიჯი წუთში). ვიმეორებთ: ყოველდღიური. სხვაგვარად შედეგს ნუ ელით! შეგიძლიათ გამოიყენოთ სარბენი ბილიკიც. კარგია ველოსიპედით სეირნობა, ჩოგბურთის თამაში, თხილამურებით სრიალი, ცურვა. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ცხიმის დასაწვავად, ოღონდ იმ პირობით, თუ 40 წუთის განმავლობაში იცურებთ და არ იმუსაიფებთ მეგობარ გოგონასთან. ოღონდ ცურვის შემდეგ მოშიებული იმაზე მეტს ნუ შეჭამთ, ვიდრე ეს-ესაა დაწვით.

რაციონალური კვების რეკომენდაციების შესრულებით შეგიძლიათ, ექვსთვეში ჯანმრთელობის დაუზიანებლად საწყისი წონის 10-15% (თვეში 4-5 კილოგრამი) დაიკლოთ, მერე კი დაახლოებით ექვსი თვით უნდა შეისვენოთ, რის შემდეგაც გადაწყდება, გჭირდებათ თუ არა უფრო მეტის დაკლება.

თუ, მიუხედავად ძალისხმევისა, ექვსი თვის განმავლობაში თქვენს წონას კილოგრამიც კი არ მოაკლდა, აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგს.

სიმსუქნე დაავადებაა, რომელიც მთელი ცხოვრება გაგყვებათ და არასოდეს მოგცემთ მოდუნების უფლებას. თუ წონა დაიკელით, მაგრამ შემდეგ ცხოვრების უწინდებურ რეჟიმს დაუბრუნდით, ზედმეტი წონა კვლავ შეგახსენებთ თავს. ასე რომ, თუ წონის დაკლებას გადაწყვეტთ, აუცილებლად უნდა გაითავისოთ ერთი რამ: ეს უნდა იყოს არა წონის დაკლების კამპანია, არამედ სრულიად ახალი მიდგომა ცხოვრებისადმი, ახალი მსოფლაღქმითა და კვებითი ჩვევებით და მთელი სიცოცხლე გაგრძელდეს.

ვასილ მენთეშაშვილი

„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“- წერდა დიდი პოეტი და ამ სტრიქონების მჯეროდა ყოველთვის, მაგრამ , ვაი, რომ სიკვდილის გზა ამსოფლად დარჩენილებისთვის ტკივილითა და სევდით არის სავსე. რა მწარე ყოფილა, ჩემო ვასიკო, ჩვენთვის... შავი დღე გაგვითენდა 2015 წლის 18 აპრილს, ხანმოკლე, მაგრამ ძლიერმა, უცაბედმა ტკივილმა ნაგვართვა შენი თავი. უკვე მეორე თვეა, ვტირით, შენთვის კი ხმა ვერ მოგვიწვდენია! წახვედი და თან წაიღე ჩვენი გული, ბედნიერება, სიხარული... უშენოდ ყველაფერმა ფასი დაკარგა, ნაცრისფერი და მუქი გახდა ცხოვრება.

მოვიდა გაზაფხული, ფრთა გაშალა ბუნებამ, თავს იწონებს შენი მოვლილი ეზო, ყვავილებიც ერთმანეთს ეჩურჩულებიან, შენ გკითხულობენ, ჩემო ვასო. ყოველ წუთსა და წამს შენზე ვსაუბრობთ, ოთახებში გეძებთ, გელოდებით! ყურებში ჩაგვესმის შენი ხმა, სიცილი... თვალწინ გვიდგა შენი კეთილი მზერა! პატარა ანი შენზე ტიკტიკებს, გახსენებს, შენს მოლოდინშია. იცის, რომ სამსახურში ხარ და მოხვალ აუცილებლად..

უშენოდ გრძელდება ცხოვრება. ცხოვრება, რომელიც ასე გიყვარდა. გიყვარდა ირგვლივ ყველაფერი: მზე, ბუნება, სამყარო, ადამიანი! სიკეთეს თესდი და სითბოს აფრქვევდი, იქნებ იმიტომ მიილტვი მზის სისტემისკენ, რომ მზესავით თბილი იყავი?! კაცური კაცის სახელით იცხოვრე, შენით ყოველთვის ვიამაყებთ!

წუთისოფელი რომ დროებითია, ეს კარგად ვიცით, მაგრამ ის გვანუხებს, რომ შენ ძალიან ცოტა იკმარე, ნაადრევად წახვედი, თვალის დახამხამებაში ცხოვრების ნაპირზე აღმოჩნდი, 50 წელი დასასრულად აქციე... რატომ , ვასო, რატომ?! უშენობას როგორ შევეგუოთ?! უშენობას როგორ გავუძლოთ?!

საუბედუროდ, მუხთალი წუთისოფელი ჩვენ არაფერს გვეკითხება... იძინე მშვიდად, ჩვენო ძვირფასო, შენს ხსოვნას არასოდეს გადაეფარება დავიწყების ბინდი. ჩვენი დიდი სიყვარული გაგინათებს სამოთხისკენ მიმავალ გზას.

შენი დაოჯლეგული
ცოლ-შვილი

გახსენება

ილია ჯორკოშვილი



ილია, მეორე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 27 მაისს. სიყვარულით გიხსენებთ და ცრემლიანი თვალებით ვებრძვით მონატრების გრძნობას. იყავი მუდამ პირმცინარი, ხალისიანი, მოსიყვარულე, მზრუნველი და შრომისმოყვარე მეუღლე, მამა და პაპა. აი ასეთი გვახსოვხარ და გვემახსოვრები მარად.

რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, თუ როგორ ავსებდი ჩვენს ყოფას შენი არსებობით.გიხსენებთ და შევნატრით წარსულს.

გვწამს მარადიულ ნათელში განისვენებს შენი სული და იმქვეყნიური სამყოფელიდან ჩვეული მზრუნველობით მფარველობ შენს საყვარელ ოჯახს.

მეუღლე-მაყვალა
ჯორკოშვილი შვილებთან და
შვილიშვილებთან ერთად.

ნინა ბუჩუკურ-ვარდაშევი

საყვარელო დედა, ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ხარების დღეს დაიმკვიდრე მარადიული სასუფეველი. შენ სამი წლის იყავი, როცა დედამ დაგტოვა, დედის სითბო და სიყვარული არ იცოდი, ყოველთვის ნატრობდი: „ნეტავ დედა მყავდესო, ეხლა მე ვარ სასოწარკვეთილი დედა, რატომ არ გებრალები?! შენს სურათს რომ შევხედავ, უსასრულოდ ვტირივარ იმიტომ, რომ მენატრები. საყვარელო დედიკო, ავადმყოფობით გაწამებულო, დატანჯულო, ერთი ვაიც კი არ გითქვამს, ასეთი სულისკვეთების როგორ იყავი, დედა.

„სიზმარში მოვედი შენს საფლავზე, დედა,
ცრემლები წვიმასავით მდოდა თვალზე
დამტოვე მარტო
ჩემს გარშემო სიბნელე დარჩა
რატომ ირჩიე წასვლა, შენ ხომ ობლობას
ემალებოდი.
მშიერიც იყავ ჰატარა,
მაგრამ არასოდეს მოგიჩივლია,
რომ ბედისწერამ ასე გატარა.”

იმაზე უფრო მეტად ვტირივარ, რომ შენ ჩემი დარდი გაგყვა, რატომ დამტოვე, რატომ შემიცვალე გაზაფხული ცრემლით, ეს ჩემთვის მწარე ხვედრია.

შენი შვილები: ლუიზა და ნანა **შვილიშვილები:** ლადიკო და გიორგი

ირინა გიჯაშვილი

ნაადრევად დატოვე ეს ქვეყანა და გადაინაცვლე მარადიულ სასუფეველში, ჩვენო ჯეირანივით ლამაზო გოგო. როგორ გაუძლებს, მზია, დედაშენი შენს დაკარგვას. ერთი სანთელი იყავ მისთვის და ისიც 20 წლის ასაკში ჩაუქრა. ვინც შენი პაპის -გერონტი ჩუთლაშვილის ოჯახს იცნობდა, ყველა დაგტირის. გაზაფხული მოვიდა, შენ ხომ ძალიან გიყვარდა ბუნება და ყვავილები. ბუნება იღვიძებს, შენ კი სამუდამოდ დაიძინე. საქართველოს მიწაც არ გეღირსა, კიევის მიწამ ჩაგიხუტა. შენს დედულეთში, დედოფლისწყაროში, ვეღარ ჩამოხვალ. შენი სულისთვის ვილოცებთ, ჩვენო ირინა.

+

ხვთისო და ესმა ქადაგიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ტარიელ და ლია ბენაშვილებს შვილიშვილის
რეზიკო დემეტრაშვილი
ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

დარეჯანი, ვაჟა, ლია, გიორგი, პაპუნა, ლაშა პაპუაშვილები, რძალი ლია მაძღარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ირინა ალიკას ასულ გიჯაშვილის
გარდაცვალებას.

მამიდაშვილები მანანა და დავით შანშიაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ანა და ზურაბ კიკილაშვილებს
ლიზა ბატიაშვილ-კიკილაშვილის
გარდაცვალებას.

შვილები ანა და ზურაბ კიკილაშვილები, რძალი ქეთევან საბიაშვილი, შვილიშვილები ნინო და იოსები იუწყებიან
ლიზა ბატიაშვილ-კიკილაშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 24 მაისს. 2015წ დედოფლისწყაროში.

შპს გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანა კიკილაშვილს დედის
ლიზა ბატიაშვილ-კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამრიკო ტოკლიკიშვილს მამამთილის
გიორგი (ჟორა) ტოკლიკიშვილის
გადაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანა და ზურაბ კიკილაშვილებს დედის
ლიზა ბატიაშვილ-კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

ავთანდილ ალიკოშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ტარიელ ფიროსმანაშვილის ოჯახს
ზიზო გიკაშვილ-ფიროსმანაშვილის
გარდაცვალების გამო.

„რაც მტროზას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“

ქალაქ დედოფლისწყაროს დაარსების ისტორია, მისი ჩამოყალიბების პროცესი მოიცავს ასევე ამ დასახლების საეკლესიო მშენებლობის განვითარების ისტორიასაც. V-საუკუნის უძველესი ნაქალაქარის - ხორნაბუჯის შემოგარენში, მეთვრამეტე საუკუნიდან დაიწყო ჩამოყალიბება ამჟამინდელმა დედოფლისწყარომ. განსახლება ხდებოდა ქიზიყის უახლოესი სოფლებიდან (ზემომაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, ოზაანი, სიღნაღი...) და ამ პროცესს თავისი წინაპირობები ჰქონდა, თუმცა, უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დედოფლისწყაროში ჩნდებიან რუსი სამხედრო მოხელე და სამოქალაქო პირები. მათი ჩასახლების ისტორია უკავშირდება 1783 წელს გეორგიევსკში, საქართველო-რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების შემდგომ განვითარებას.

როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეფის რუსეთი ამიერკავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად აფართოვებდა საქართველოში უკვე არსებულ სამხედრო ერთეულებს, მათ შორის დაბა დედოფლისწყაროში გაიგზავნა ქ. ტვერის დრაგუნთა(ცხენოსანთა) პოლკის მთლიანი შემადგენლობა და მათთან ერთად მომსახურე პერსონალი ოჯახებით. ახალი მოსახლეობის საცხოვრებელით დასაკმაყოფილებლად და სხვდასხვა საქმინობის განსახორციელებლად, საჭირო იყო სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სწორედ ამ წინაპირობებმა განსაზღვრა დედოფლისწყაროს პროვინციულ დაბა-ქალაქად ჩამოყალიბება.

მის მზარდ განვითარებასთან ერთად, როგორც ირკვევა, მოსახლეობაში არსებობდა დიდი სურვილი ახალი, მოცულობით შესაფერისი ტაძრის აშენებისა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის, როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროში და მის შემოგარენში უკვე არსებობდა მოქმედი შედარებით მცირე ზომის ტაძრები(ელია თეზბიტელის, სერაფიმე საროველის, პეტრე-პავლეს). სავარაუდოდ ასე დაიწყო მზადება დიდი ტაძრის მშენებლობისა.



ზეპირი გადმოცემით ცნობილია, რომ ამ მშენებლობის ინიციატორი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იყო დრაგუნთა პოლკის ხელმძღვანელობა, ამიტომ ერთიანი ძალისხმევით ის მოკლე დროში დასრულდა და იკურთხა წმ. ნიკოლოზის სახელზე.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში, საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო შემოჭრით და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყში) მეთერთმეტე წითელი არმიის შემოსვლის შედეგად მოხდა ქვეყნის ფაქტიური ანექსია, მთლიანად დაპყრობა. ამ ავბედით პერიოდში დაბა დედოფლისწყარო, მისი გეო-პოლიტიკური მდებარეობის გამო, მათთვის განსაკუთრებულ სამიზნე ობიექტს წარმოადგენდა, ამასთანავე საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე იმ დროისათვის ის მოსახლეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დასახლება იყო.

გასაბჭოების უღმერთო, ანტიქართული, ანტიეროვნული იდეოლოგია, სხვა ყველაფერთან ერთად, მიზნად ისახავდა მართლმადიდებლური ცხოვრების წესის აკრძალვას, ეკლესია-მონასტრების დახურვას, ნგრევას, გაძარცვა-ხელყოფას. ჩვენდა საბწუხაროდ, ასეთივე მძიმე ხვედრი ერგო წილად დედოფლისწყაროს წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძარსაც.

ღვთის განგებით მოსახლეობამ შეიტყო, რომ კომუნისტი აქტივისტები აპირებდნენ ეკლესიის დარბევას, მის გაძარცვას, ამიტომ მორწმუნე მოსახლეობამ (ძირითადად რუსულმა) სიცოცხლის რისკის ფასად, ღამით ფარულად საკუთარ ოჯახებში გაიტანა და გადამალა საეკლესიო წმინდა ხატებისა და სხვადასხვა საღვთისმსახურო ნივთების უმრავლესობა. ეს სიწმინდეები ორმოცი წლის მანძილზე ინახებოდა მათთან და მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების მიწურულს ხელუხლებლად ჩაბარდა ადგილობრივი სასულიერო პირებისა და გლინის უდაბნოს ბერების მიერ ახლად დაარსებულ ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ წმ. ნიკოლოზის ტაძარი კომუნისტემბმა დაარბიეს, ხოლო შემდგომ დაანგრიეს და გადააკეთეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობად, რომელიც ფუნქციონირებდა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე. საქართველოს დამოუკიდებლოს აღდგენის დღიდან (1991 წლის 26 მაისი) სასაწყობო მეურნეობა გაუქმდა, ხოლო მოგვიანებით 2005-2007 წლებში ეს ქონება სახელმწიფომ შეიტანა საპრივატიზაციო ნუსხაში და აუქციონის წესით გაყიდა კერძო პირზე. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ შეურაცხყო წმინდა ადგილი შეუფერებელი მოქმედებით და თითქმის გადაუწურა იმედი იმ ადამიანებს, ვინც წლების მანძილზე ელოდებოდა და ოცნებობდა აქ კვლავ ტაძრის აღდგენაზე.

საგულისხმოა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აზრი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელოვანია დანგრეული ტაძრების და ეკლესია–მონასტრების აღდგენა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში ხელყოფილ ადგილებზე. პატრიარქის თქმით, ნატაძრალ წმინდა ადგილებზე ღვთის მფარველი ანგელოზი გლოვობს და ტირის და მიუხედავად ადამიანების შეუფერებელი მოქმედებისა, ის არ ტოვებს ღვთისაგან კურთხეულ ადგილს და ელოდება მის აღდგენას, ამიტომაც, მნიშვნელოვანია ჯერ ასეთ ადგილებზე ეკლესია-მონასტრების აღდგენა და ამის შემდგომ სხვაგან ახლის აშენება.

უწმინდესის აზრით, დარბეულ-დანგრეული წმინდა ადგილების აღდგენა ჩვენი უფროსი თაობის(წინაპრის) დანაშაულის ერთგვარი გამოსყიდვა, გამოსწორებაც იქნება.

ამიტომ, ერთი მხრივ პატრიარქის ასეთი მოწოდების და მეორე მხრივ მოსახლეობაში წლობით არსებული ტაძრის გაცოცხლების სურვილის გათვალისწინებით და აგრეთვე ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, 2014 წელს დედოფლისწყაროს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და საკრებულოს ინიციატივითა და სახსრებით ნატაძრალი ტერიტორია არსებული ნაგებობით გამოსყიდული იქნა კერძო პირიდან, მომზადდა ტაძრის აღდგენის სამშენებლო მოედანი, ძველი ნატაძრალის საძირკვლის მიხედვით ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მთავარი არქიტექტორის (სერგო ქართველიშვილი), მშენებელის (დავით ფხოველიშვილი) და ქ. თბილისის სეისმოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ-კონსტრუქტორის (ზურაბ კუჭუხიძე) მიერ უსასყიდლოდ და ნაწილობრივ შემოწირულობით გაკეთდა ტაძრის აღდგენა-აშენების სრულფასოვანი პროექტი, სათანადო გეოლოგიური დასკვნით. ამჟამად პროექტი უკვე დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და არქიტექტურის საბჭოს მიერ.

მოგიწოდებთ, როგორც დედოფლისწყაროს, ასევე საქართველოს მთლიან მოსახლეობას, ყველა დაინტერესებულ კერძო თუ იურიდიულ პირს, რომ მიიღოთ მონაწილეობა ამ დიდებული ტაძრის აღდგენის საშვილიშვილო საქმეში. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის დიმიტრის მიერ უახლოეს დროში იკურთხება ტაძრის საძირკველი, კურთხევის დაზუსტებულ თარიღს გაცნობებთ დამატებით.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

17 მაისი 2015 წელი

დეკანოზი პეტრე (ხუმარაშვილი)
ქ. დედოფლისწყაროს
ღვთისმშობლის შობის სახელობის
ეკლესიის წინამძღვარი

ქ. დედოფლისწყაროს მშენებარე წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებია:

საბანკო კოდი - TBCBGE22 - ს.ს. „თიბისი ბანკი“	
მიმღების დასახელება: დედოფლისწყაროს წმ.ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ტაძარი	ვალუტა
ანგარიშის №	
GE76TB71 9563 6080 1000 04	GEL
GE76TB71 9563 6080 1000 04	USD
GE76TB 71 9563 6080 1000 04	EUR

ულოცავენ!

ირმა ჯანაშვილს!

სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილეს ირმა ჯანაშვილს!

უსურვებენ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

მზია ლეკაშვილს!

გილოცავთ შვილიშვილის, გაბრიელ ვაშაკიძის დაბადებას. ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ბედნიერ მომავალს.

ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

იყიდება!

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: 9ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული კერძო სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2015–2016 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

- მედდის საქმე;
- სამეანო საქმე;
- ფარმაცია;
- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- სამართალმცოდნეობა;
- უცხო ენა;
- დაწყებითი განათლება;
- ბიზნესის მენეჯმენტი;
- ფინანსები და ეკონომიკა (საბუღალტრო);
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
- ჟურნალისტიკა;
- ვეტერინარია;

სწავლა ფასიანია. საწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი. ჩარიცხვა გასაუბრებით! საბუთების მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №32 (დედოფლისწყაროს არქივის შენობა, მეორე სართული).

საკონტაქტო
0356 22 52 73; 599 74 73 98; 555 200 435.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 25.05	სამშაბათი 26.05	ოთხშაბათი 27.05	ხუთშაბათი 28.05	პარასკევი 29.05	შაბათი 30.05	კვირა 31.05
დღე	17 °	21 °	22 °	22 °	20 °	19 °	20 °
ღამე	16 °	17 °	16 °	17 °	15 °	18 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K